ხელშეკრულება N70
ნასყიდობის შესახებ

ქ. თბილისი

21 აპრილი 2021 წელი

ერთის მხრივ, **შპს მეამა**, ს/ნ 405139425, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლუკა კაპანაძის სახით (შემდეგში "მიმწოდებელი") მეორეს მხრივ **შპს სპორტმშენსერვისი** ს/კ 204878542 წარმოდგენილი მისი დირექტორის გერონტი ცინდელიანის სახით (შემდგომში „მიმღები") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის"-ს მე-9 მუხლის 3^1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი აწვდის (ყიდის), ხოლო მიმღები ყიდულობს შემდეგი დასახელებისა და რაოდენობის პროდუქციას **CPV 39830000;**

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
ბანდლი „ამერიკული საწმენდი საშუალებების სეტი Skelaris +Caffenu"	2 ცალი	25.00 ₾	50.00 ₾
საწმენდი ფხვნილი Skelaris	1 ცალი	5.00 ₾	5.00 ₾

1.2. პროდუქციის მიწოდების წესი და ანგარიშსწორების პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მეორე მუხლით;

1.3. ამ ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინებს: პროდუქცია, საქონელი, სასაქონლო მატერიალური ფასეულობა, აქვთ ერთნაირი და თანაბარი მნიშვნელობა.

2. პროდუქციის მიწოდების წესი და ანგარიშსწორების პირობები

2.1. პროდუქციის მიწოდების პირობების შესახებ

2.1.1.საქონლის მიმღებისთვის მიწოდება ხდება შეკვეთის განხორციელების დღეს ან მომდევნო (გამონაკლისია შაბათ-კვირა და უქმე დღეები) სამუშაო დღის განმავლობაში;

2.1.2.პროდუქციის მიწოდების ადგილია მიმღების მფლობელობაში არსებული სავაჭრო-სარეალიზაციო ან სხვა (მიმღების ცენტრალური ოფისი, მიმღების ფილიალი და ა.შ. რომელიც შეთანხმებულია მხარეთა შორის) ობიექტი - ზედნადებზე არსებული საბოლოო მისამართი;

2.1.3.პროდუქციის მიწოდებას ახორციელებს მიმწოდებელი კომპანია საკუთარი ძალებით;

2.1.4.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს : ივანე გძელიშვილი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი, საწყობი);

2.1.5.მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული პროდუქციის ხარისხსა და მდგომარეობაზე;

2.1.6.მიმღებს პროდუქცია მიეწოდება კონკრეტული პროდუქციისათვის განსაზღვრული შეფუთვით, დაზიანებების გარეშე. მიმღები უფლებამოსილია ვიზუალურად შეამოწმოს პროდუქციის მდგომარეობა და მიუთითოს მიმწოდებელს ხარვეზის შესახებ (თუკი ასეთი არსებობს). ნაკლის დადგენას სავალდებულო წესით ესწრება მიმწოდებლის წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილი ნაკლი არ არის გამოწვეული

მიმღების ბრალეული ქმედებით, ნაკლის მქონე საქონლის ღირებულება მხარეთა შეთანხმებისამებრ ან გამოაკლდება მიწოდებული საქონლის მთლიან ღირებულებას, ან შეიცვლება უნაკლო საქონლით მიმწოდებლის მიერ;

2.1.7. პროდუქციის გადაცემის შემდეგ მიმღების პრეტენზია პროდუქციის რაოდენობის დანაკლისის ან დაზიანების ან/და სხვა ნაკლის თაობაზე მიმწოდებლის მიერ აღარ მიიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმღები უთითებს პროდუქციის ისეთ დაზიანებაზე, რომელიც გადაცემის დროს ვიზუალური დათვალიერების შედეგად არ შეიძლება ყოფილიყო შემჩნეული;

2.2. პროდუქციის საფასური და ანგარიშსწორების წესი

2.2.1. წინამდებარე 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს **55 (ორმოცდათხუთმეტი) ლარს,** გადასახადების ჩათვლით;

2.2.2. ანგარიშწორება მხარეთა შორის შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

3.1.1. მიმღების მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მიმღების პროდუქციის შენახვისათვის საჭირო ინფორმაცია.

3.2. **მიმღების ვალდებულება:**

3.2.1. გადაიხადოს პროდუქციის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების მიხედვით (მე-2 მუხლი);

3.2.2. უზრუნველყოს პროდუქციის მიღება და შეასრულოს მიღებასთან დაკავშირებული კანონით და ამ ხელშეკრულებით დადგენილი ყველა მოთხოვნა;

3.2.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი"-ს წარმომადგენელი მარიანა მაჭარაძე;

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ კეთილსინდისიერად, ხარისხიანად, დათქმულ დროსა და ადგილას;

4.2. მხარეები სრულად აგებენ პასუხს ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის;

4.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმების/საურავების/პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა წარმოადგენს მხარის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას და ის ხელშერკულების პირობების დამრღვევ მხარეს დაეკისრება მისი მიმწოდებლის მიერ წერილობითი ფორმით მოთხოვნის შემთხვევაში. პირგასამტეხლო ითვლება ვადაგადაცილების მთელი პერიოდისათვის, რაც გულისხმობს პერიოდს როგორც შეტყობინების გაგზავნამდე, ისე მის შემდეგ ვალდებულების სრულად დაფარვამდე.

5. კონფიდენციალურობა

5.1. თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული, ისე არა კომერციული), ასევე ნებისმიერი

ტიპის ინფორმაცია რაც გამომდინარეობს და ეხება წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობას, დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთან, რაიმე კონკრეტულ სამუშაოსთან და/ან ზოგადად, ორგანიზაციის საქმიანობის დეტალებთან, ასევე წარმოადგენს წარმოადგენს კომერციულ ინფორმაციას;

5.2. ერთი მხარის მიერ, მეორე მხარის თანხმობის გარეშე, სახელშეკრულებო საქმიანობასთან დაკავშირებული და/ან ამ საქმიანობის შედეგად მიღებული ნებისმიერი ინფორმაციისა და დეტალის მესამე ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების მხარეებს, მიწოდება/გავრცელება/გადაცემა ნებისმიერი სახით ზეპირად თუ წერილობით, პირდაპირ თუ ირიბად, ასევე, მასობრივი საშუალებებით, ფართო საზოგადოების მიმართ, მასმედიის ნებისმიერი წყაროთი (მათ შორის ელექტრონული მედია-ინტერნეტი) გავრცელება ჩაითვალება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად და მხარე უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ზიანის ანაზღაურება;

5.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მაშინაც კი, თუ ისინი შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს და სავალდებულოა იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზეზით შეწყდა მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები. მხარეები თანხმდებიან, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე და სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ 2 (ორი) წლის განმავლობაში;

5.4. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება არ ჩაეთვლებათ მხარეებს ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ გამჟღავნებული ინფორმაციის გავრცელებას მხარეს ავალდებულებდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

6. კონკურენციის აკრძალვა

6.1. მიმღები ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს მიმწოდებლის პირდაპირ ან არაპირდაპირ კონკურენტ კომპანიას ან ასეთი კომპანიის შვილობილ კომპანიას და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე დროებით სარგებლობაში გადაცემულ აპარატებსა და ინვენტარს არ გამოიყენებს მიმწოდებლის კონკურენტი კომპანიების პროდუქტის მოსამზადებლად;

6.2. მიმღები ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს, მის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შესახებ თუ ასეთი ცვლილებებით, მიმღების პარტიორად ფიქსირდება მიმწოდებლის კონკურენტი კომპანია;

6.3. მიმღების მიერ წინამდებარე 7.1. ან/და 7.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმოწდებელი უფლებამოსილია გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოითხოვოს დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატებისა და ინვენტარის დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის სახით.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

7.2. ამ ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, რომელიც აღსრულდება და განიმარტება ამ ხელშეკრულებასთან ერთად.

7.3. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები, ანგარიშ-ფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები გულისხმობს და მოიცავს ამ ხელშერკულებით განსაზღვრულ სხვა აქტებსაც;

7.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში და მისგან გამომდინარე მხარეების მიერ დამატებით გაფორმებული ყოველი შეთანხმება, ოქმი ან აქტი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს;

7.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით გაფორმების შემთხვევაში;

7.6. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ჩაითვლება არაკანონიერად, ამგვარი დებულების ძალის დაკარგვა ზემოქმედებას არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების მოქმედებაზე, თუ ხელშეკრულების მიზანი მიიღწევა და ძირითადი პირობები რჩება უცვლელი ბათილად ცნობილი დებულების გარეშე;

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის არსებული დავათა მოგვარება წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. მხარეთა მიერ მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო.

7.8. წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება ამ ხელშეკრულების მხარეებზე და მათ შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

7.9. ეს ხელშეკრულება შესრულებულია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე მიმღებს.

7.10. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 15 ივნისის ჩათვლით;

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მიმწოდებელი	**მიმღები**
შპს მეამა	**შპს სპორტმშენსერვისი**
ს/ნ 405139425	ს/კ 204878542
მის: თბილისი, გივი ამილახვარის 2	მის: უნივერსიტეტის 15 ა
ბანკი: ს.ს. თიბისი ბანკი ა/ა: GE07TB7625336020100005	
დირექტორი: ლუკა კაპანაძე "_____" Meama LLC Digitally signed by Meama LLC Date: 2022.04.21 18:29:51 +04'00'	**დირექტორი:** გერონტი ცინდელიანი "_____"

Sportmshenservice LLC

Digitally signed by Sportmshenservice LLC
Date: 2022.04.21 17:37:45 +04'00'

კონფიდენციალური